ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 03

2022 წელი 25 თებერვალი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2022 წლის 25 თებერვალს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, სიმონ ჭოლოკავა, მურად ბურჯანაძე, მაია კბილაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, შადიმან გორგოძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, გვანცა გრძელიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, ზაზა ზივზივაძე, გურამ ჩხეიძე, მაკა მესხი, ზვიად გუმბერიძე.

სულ: 20 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: გია სახამბერიძე შალვა მშვილდაძე, ჯუმბერ რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ირაკლი გოგსაძე, ნინო კვირიკაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ანტონ ქარაბაკი- მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

კახა გოგნაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

მიხეილ სახამბერიძე- მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

უჩა გელხვიიძე- მუნიციპალიტეტის **მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.**

აზა ნერგაძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი საკრებულოსთან ურთიერთობის საკითხებში;

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც სხდომას გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ანგარიში: „2021 წელში მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა მიღების ორგანიზების, მოქალაქეებიდან, ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებების, წერილების, კორესპოდენციების, მომართვების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და მათი ადრესატებისათვის გადაგზავნის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. კახა გოგნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

3.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ I ობჩაში 30.08.33.062 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს. მიხეილ სახამბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის წონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები საკრებულოს სხდომას წევრებს გააცნო: **ლერი გუმბერიძემ- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: თორნიკე გაჩეჩილაძემ, გურამ ჩხეიძემ, გია კოტორეიშვილმა, ბიძინა ჯაბიძე, გურამი კიკნაველიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

გ. ჩხეიძე - საკრებულოს წევრი ქართული ოცნება“, იგი დაინტერესდა ა.ა.ი.პ. „ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი“-ის დაფინასების საკითხით, რომ „ამ ეტაპზე გამოყოფილი თანხა საკმარისი არ არის წლიური ხარჯებისათვის“, რაზედაც მომხსენებელმა ლ. გუმბერიძემ აღნიშნა, რომ მესამე კვარტლის ბოლოსათვის ყველა დეფიციტური ხარჯები შეივსებოდა არაფინანსური ხარჯების ზრდის შედეგად(ძირითადად პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლებით).

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ საკრებულოს კომისიის დასკვნა წარმოადგინა: **მურად ბურჯანაძემ- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 6 დადგენილება:დ-67.67220561 თარიღი:25/02/2022 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 15 წინააღმდეგი- 1(მაკა მესხი)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ანგარიში: „2021 წელში მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა მიღების ორგანიზების, მოქალაქეებიდან, ორგანიზაციებიდან, დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებების, წერილების, კორესპოდენციების, მომართვების აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და მათი ადრესატებისათვის გადაგზავნის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ.

სამსახურის მიერ გასულ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა: კახა გოგნაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: გვანცა გრძელიძემ, მაია კბილაშვილმა, გურამი ჩხეიძემ, სიმონ ჭოლოკავამ, ნოდარ გიორგიძემ.

გურამ ჩხეიძე - იგი დაინტერესდა ადმინისტრაციულ სამსახურში შემავალი იურდიული განყოფილების მიერ 2019-2020-201 წლებში მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული სასამართლო დავების დასრულების მდგომარეობით და შედეგებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება: საკითხის მოცულობის გამო მარტის თვის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომაზე მოესმინათ „მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურდიული განყოფილების ინფორმაცია „ მუნიციპალიტეტის მერიაში 2019-2020-2021 წლებში შემოსული სასამართლო დავების განხილვის შედეგებისა და დასრულების მდგომარეობის თაობაზე“, რაზედაც მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობებოდა საკრებულოს აპარატის მეშვეობით ოქმის ამონაწერის სახით.

კომისიის დასკვნა წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 7 განკარგულება:გ-67.67220562 თარიღი:25/02/202 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 20 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 202 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინა: ანტონ ქარაბაკმა მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

აზრი გამოთქვეს: გურამი კიკნაველიძემ, სიმონ ჭოლოკავამ, ზაზა ზივზივაძემ, ნოდა გიორგიძემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

ცნობად იქნეს მიღებული ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში, „2021 წელ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კუთხით გაწეული მუშაობის თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სოფელ I ობჩაში 30.08.33.0 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობის საკუთარი ძალებით დემონტაჟზე თანხმობის მიცემ შესახებ

განკარგულების პროექტი დემონტაჟთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომას გააცნო: მიხეილ სახამბერიძემ-მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი ეხება სოფელ პირველ ობჩაში „ე.წ" გზაჯვარედინზე არსებულ ამორტიზირებულ მცირე შენობის დემონტაჟს, სადაც მოეწყობა სკვერი მომავალში.
აზრი გამოთქვეს: მურად ბურჯანაძე, გურამი კიკნაველიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

საკრებულოს კომისიის დასკვნა, აღნიშნულ საკითხზე ბიუროს წევრებს გააცნო: თორნიკე გაჩეჩილაძე - საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 8 განკარგულება:გ-67.67220561 თარიღი:25/02/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 19 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე